# კავშირი სტუდენტების ზოგად თვითეფექტურობას, აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის.

გვანცა ცხოვრებაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნებათა ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ცხოვრებაშვილი

17.06.2023

# აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მთავარი მიზანია შეისწავლოს რა კავშირია სტუდენტების ზოგად თვითეფექტურობას, აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის, განსხვავდება თუ არა ეს კავშირები სქესის მიხედვით და არის თუ არა ზოგადი თვითეფექტურობა და აკადემიური მოტივაცია აკადემიური მოსწრების პრედიქტორი. კვლევაში მონაწილეობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის 120 სტუდენტი. ზოგადი თვითეფექტურობის გასაზომად გამოყენებული იყო ზოგადი თვითეფექტურობის სკალა- General Self-Efficacy Scale(GSE), აკადემიური მოტივაციის გასაზომად კი აკადემიური მოტივაციის სკალა- Academic Motivation Scale (AMS).

შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გამოვლინდა თვითეფექტურობასა და როგორც გარეგან , ისე შინაგან მოტივაციას შორის. ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირია ზოგად თვითეფექტურობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის. რაც შეეხება კავშირს აკადემიურ მოსწრებასა და აკადემიურ მოტივაციას შორის, აქაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი გამოვლინდა, კერძოდ დადებითი კორელაცია , ანუ დადებითი კორელაცია არის აკადემიურ მოსწრებასა და გარეგან მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებასა და შინაგან მოტივაციას შორის.

მრავლობითმა რეგრესულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გარეგანი აკადემიური მოტივაცია და ზოგადი თვითეფექტურობა აკადემიური მოსწრების პრედიქტორებია. ხოლო შინაგანი აკადემიური მოტივაცია არ არის აკადემიური მოსწრების პრედიქტორი, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის მნიშვნელოვანი სტატისტიკური კავშირია.

რაც შეეხება ამ ცვლადებს შორის კავშირების განსხვავებას სქესის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ცვლადს შორის კავშირი განსხვავდებოდა სტატისტიკურად. კერძოდ, ზოგად თვითეფექტურობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის კავშირი და ზოგად თვითეფექტურობასა და შინაგან აკადემიურ მოტივაციას შორის კავშირი გაცილებით ძლიერია მამრობითი სქესის სტუდენტებში, ვიდრე

მდედრობითი სქესის სტუდენტებში. მართალია, მცირედით მაგრამ მაინც განსხვავებული კავშირებია ზოგად თვითეფექტურობასა და გარეგან მოტივაციას შორის და შინაგან აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარეგან აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ მოსწრებას შორის არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი მდედრობითი სქესის სტუდენტებში, მაშინ როცა მამრობითი სქესის სტუდენტებში ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია .

**საძიებო სიტყვები:** ზოგადი თვითეფექტურობა, გარეგანი აკადემიური მოტივაცია, შინაგანი აკადემიური მოტივაცია, აკადემიური მოსწრება, სქესი.

## Abstract

The main purpose of this study is to explain the relationship between students' general self-efficacy, academic motivation and academic achievement, are there differences in relationships between these variables by gender and are general self-efficacy and academic motivation predictors of academic achievement or not. 120 undergraduate students of Ilia State University participated in the study. The General Self-efficacy scale (GSE) was used to measure general self-efficacy and Academic Motivation Scale (AMS) was used to measure academic motivation.

Based on the results, we can say that a statistically significant relationship was revealed between self-efficacy and both external and internal motivation. There is also statistically significant relationship between general self-efficacy and academic achievement. As for the relationship between academic achievement and academic motivation, a statistically significant relationship was revealed here, namely a positive correlation, i.e. there is a positive correlation between academic achievement and external motivation and between academic achievement and internal motivation.

Multiple regression analysis showed that external academic motivation and general self-efficacy are predictors of academic achievement. And internal academic motivation is not a

predictor of academic achievement, although there is a significant statistical relationship between internal academic motivation and academic achievement.

As for the differences in relationships between these variables by gender, it should be noted that the relationship between almost all variables was statistically different. Namely, the relationshil between general self-efficacy and academic achievement and relationship between general self-efficacy and internal academic motivation is stronger in male students than in female students. There are slightly different relationships between general self-efficacy and external academic motivation and between internal academic motivation and academic achievement.It should also be noted that there was no statistically significant relationship between external academic motivation and academic achievement in female students, while a statistically significant correlation was observed in male students.

**Key words:** General self-efficacy, External academic motivation, Internal academic motivation, Academic achievement, Gender.

## მადლობა

კვლევის განხორციელებასა და სამაგისტო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ასოცირებულ პროფესორს ქალბატონ მაია წერეთელს.

ასევე მადლობას ვუხდი თითოეულ სტუდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის, რომელთა ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის განხორციელება.